საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიდაჭარის განძი

დიდაჭარის განძი, ძვ. წ. XIV– XIII სს. ბრინჯაოს კოლხური ცულების განძი.

აღმოაჩინეს 1964 სოფ. დიდაჭარაში (ხულოს მუნიციპალიტეტი); ქორიძისეული I ტიპის 20 კოლხური ცული ჩალაგებული იყო ხელით გამოძერწილ თიხის ჭურჭელში. განძი დაცულია ხ. ახვლედიანის სახ. აჭარის სახელმწ. მუზეუმში.

ლიტ.: ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი ა., დიდაჭარის განძი და კოლხური ნივთიერი კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, წგ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. 5, თბ., 1975; რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974.

ა. რამიშვილი